ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი;

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება / Elementary Education

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: განათლების ბაკალავრი / Bachelor of Education

სპეციალობა: მასწავლებელთა განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 185 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა; 25 კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები; პრაქტიკა – 20 კრედიტი; 10 კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.

ვინაიდან პედაგოგიური განათლება რეგულირებადი დარგია, ამიტომ აღნიშნული პროგრამა განისაზღვრება ძირითადი სპეციალობით 185 ECTS კრედიტის ოდენობით, საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი საგნებით 35 ECTS კრედიტის ოდენობით, პედაგოგიური პრაქტიკა- 20 ECTS კრედიტის ოდენობით. განათლების მოქმედი კანონის შესაბამისად, I–VI კლასებში ყველა საგანს (გარდა უცხოური ენებისა და ფიზიკური, შრომითი დს ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფებისა) ასწავლის ერთი მასწავლებელი, ამიტომ პროგრამა დაწყებით სკოლაში მოქმედ საგანთა სწავლების არჩევითობას სტუდენტისათვის არ ითვალისწინებს.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: საქართველოში მოქმედი განათლების კანონის შესაბამისად, დაწყებითი საფეხური განისაზღვრება I-VI კლასით. დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ისეთი მასწავლებლის მომზადება, რომელსაც ექნება დაწყებითი განათლების, როგორც დარგის, და არა _ სხვადასხვა დისციპლინის ნაკრების ხედვა. კურსდამთავრებული ღრმად უნდა ფლობდეს თითოეულ დისციპლინას ცალ-ცალკე და უნდა შეეძლოს ამ ცოდნათა გაერთიანება დაწყებითი სკოლის მასწავლებლის საფეხურის მოთხოვნებისა და მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამავე დროს, ბუნებრივია, მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიკურ-მეთოდიკური დისციპლინების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ღირებულებები.

ყოველივე აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, მაძიებლობის გავლის შემდეგ ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო და კერძო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც შეიძლება ასწავლოს როგორც კონკრეტული საგანი, ასევე საგნობრივი ჯგუფი, რაც ეთანადება ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და ეროვნული სასაწავლო გეგმის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმის, კერძოდ კი საფაკულტეტო საგნების შესწავლის საფუძველზე, კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა დასაქმდეს მომიჯნავე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – განათლების ბაკალავრს აქვს სფეროს **ფართო** ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას: დაწყებითი საფეხურით გათვალისწინებული სასწავლო საგნების ცოდნას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებისა და შესაბამისი მოთხოვნების ცოდნას, დაწყებით სკოლაში მუშაობის მეთოდებისა და პრინციპების ცოდნას, პედაგოგიკური თეორიებისა და კონცეფციების ცოდნას, პედაგოგის პროფესიული სტანდარტისა და სათანადო ეთიკური ნორმების ცოდნას; შეძლებს სფეროს კომპექსური საკითხების გაცნობიერებას, მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები:

- პედაგოგიკის ძირითადი ცნებები_ აღზრდა, განათლება, სწავლება;
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და კვლევის მეთოდები;
- პიროვნების ფორმირების ფაქტორები; აღზრდის მიზნი და ამოცანები;

განვითარების და სწავლის ძირითადი თეორიების გაცნობა; ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების თავისებურებების და სწავლის პროცესზე მათი გავლენის გაცნობიერება; ბავშვის განვითარებისა და სწავლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების ცოდნა; მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნა; მრავალფეროვანი რეალობის (კულტურული, ლინგვისტური, ასაკობრივი, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, სოციო-ეკონომიკური) გათვალისწინებით მრავალმხრივი ხედვის უნარი; პედაგოგიკის მეცნიერების როლისა და ადგილის გაცნობიერება სასწავლო–აღმზრდელობით პროცესში;

თეორიული ცოდნის მიღება–ცნებები: მეთოდი, ტექნოლოგია, ხერხი, სტრატეგია. ტექნოლოგიათა კლასიფიკაცია, ჯგუფური ტექნოლოგია, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. დაუფლებულია ინგლისურს მინიმუმ B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით. ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში. ფლობს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – საგნობრივ-პედაგოგიკურ-თეორიული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენება; დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა შესაბამისი პედაგოგიურ-ეთიკური ნორმების გამოყენებით; სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებთან წარმატებით მისადაგება; აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის ეფექტური განხორციელება შესასწავლ მასალაზე დაყრდნობით; სასწავლო პროგრამის სწორი დაგეგმვა და ორგანიზება; სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურად გამოყენება; კონკრეტულ სასწავლო-საალმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებებისა და ფილოსოფიის ძირითადი კანონების მიზნობრივად გამოყენება; მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის და მათი სწავლების პროცესში გათვალისწინების უნარი; შეძლებენ სპეციალურ საგანამანთლებლო კონტექსში ადაპტირებას; თანამედროვე საგანმანათლებლო

ტექნოლოგიების (ჯგუფური ტექნოლოგია, თანამშრომლობის ტექნოლოგია, თამაშის ტექნოლოგია, დისტანციური სწავლება და სხვათა) პროფესიულ გარემოში პრაქტიკული გამოყენება; აღზრდის მიზნიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა. მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების და საკითხების გადაწყვეტას; შეძლებენ სხვადასხვა საკითხის სხვადასხვა პესპექტივით განხილვას და მიდგომების ტრანსფორმირებასა და ადაპტირებას; მოსწავლეებთან და კოლეგებთან მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება; მშობლების მობილიზება აღზრდის პროცესში მათთან თანამშრომლობის მიზნით. განათლების ბაკალავრს პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება. ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.

გ) დასკვნის უნარი – სასკოლო გარემოში საგნის სწავლებისას აუცილებელი პრიორიტეტების გამოყოფა, რესურსების მოძიება და გამოყენება; დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული სიახლეების გაანალიზება და პროფესიულ საზოგადოებაში მასზე კომპეტენტური, არგუმენტირებული მსჯელობა; პედაგოგიური სიტუაციების ანალიზი და არსებული პრობლემების გადასაჭრელად ოპტიმალური გზებისა და ხერხების შერჩევა;

დ) კომუნიკაციის უნარი – ჯგუფებთან და ინდივიდებთან კომუნიკაციის ყველა ფორმის პროფესიულ დონეზე გამოყენება (ზეპირი, წერითი, დისკუსია, დებატები); თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) თავისუფლად გამოყენება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი.

ე) სწავლის უნარი – სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის საჭირო სიახლეების მოძიება და დამოუკიდებლად შესწავლა; საკუთარი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და ორგანიზაციის დაგეგმვა; საკუთარი ცოდნის თვითშეფასება და საჭიროების შემთხვევაში სწავლის გაღრმავების აუცილებლობის განსაზღვრა.

ვ) ღირებულებები – სწავლება/სწავლის პროცესში პროფესიული ეთიკის ნორმების პატივისცემა; მოსწავლის (მათ შორის უნარშეზღუდული) სრულფასოვან პიროვნებად აღქმის, ზრუნვისა და პატივისცემის უნარი; პროფესიულ ღირებულებათა სისტემის დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღების უნარი; ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: გამოიყენება სწავლება/სწავლის მეთოდები: ვერბალური – მონოლოგი, დისკუსია; წიგნზე მუშაობა – დამოუკიდებელი კითხვა; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ახსნა-განმარტებითი; ჯგუფური მუშაობა და ლექციაზე ნამუშევრის პრეზენტაცია; სხვადასხვა წყაროს გამოყენებით რეფერატის მომზადება; მოხსენების მომზადება და პრეზენტაცია; შემთხვევის განხილვა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brain storming) .

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩაბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: *საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:*

- მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმცოდნეობის და მათემატიკის მასწავლებელი _ დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები);
- საქართველოს ისტორიის, სამოქალაქო განათლების და საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებელი _ დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები) ;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტებს გამოუმუშაოს ზოგადი ჰუმანიტარული, ვიწრო დარგობრივი, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დასაქმებას არა მხოლოდ ვიწრო, საკუთარი სპეციალობის სფეროში, არამედ კვლევით–პრაქტიკულ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ''განათლების მეცნიერებების'' სპეციალობით, ასევე სხვა სპეციალობების მაგისტრატურაში, თუ ამის უფლებას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა იძლევა.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი

სილაბუსები: იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი, ტელ: 22 23 76; 8 93 33 12 18 chkuaselik@yahoo.com

დამატებითი ინფორმაცია:

- საფაკულტეტო არჩევითი კურსი **შესავალი პედაგოგიკაში** დაბეჯითებით რეკომენდებულია დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, რადგან ამ კურსით მიცემული ცოდნა და უნარები საფუძველი და წინაპირობაა ძირითადი პროგრამის წამყვანი კურსებისათვის.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური

რესურსების შესახებ:

ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; რუსუდან სანაძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი; თეიმურაზ ვეფხვაძე – პროფესორი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ლია კვერენჩხილაძე – მოწვეული მასწავლებელი, გეოგრაფიის დოქტორი; მიხელ ბახტაძე – ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი; გიორგი ჟუჟუნაშვილი – ასისტენტ პროფესორი, ისტორიის დოქტორი; მიმოზა სოსელია – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ზაქარია ქიტიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეციერებების დოქტორანტი; თეონა ლოდია – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი.

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგ

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: პედაგოგიკის ინსტიტუტი
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი განათლება
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი (240 კრედიტი)
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012 სასწავლო წელი

საფაკულტეტო კურსები / მოდულები							
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 15 კრედიტი (ECTS)							
	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი	ლექტორი/ლექტორები

კოდი			სემესტრში		6		შემოდგომა	გაზაფხული	
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუ					
	აკადემიური წერა	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან გოჩიტაშვილი გიული შაბაშვილი ნინო შარაშენიძე
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დემურ ჯალაღონია მამუკა ბიჭაშვილი ირაკლი ბრაჭული ვალერიან რამიშვილი ნაპოლეონ კვარაცხელია დალი გულიაშვილი მაია ქერქაძე

									ნანა გულიაშვილი
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან ჭკუასელი, ეფემია ხარაძე, თამაზ კარანაძე, თინათინ დოლიძე.
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)									
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	10							
	ინგლისური ენა A1.1	5		60	65	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	65	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	65	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	65	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	65	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	65	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	65	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	65	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	10			65				
	გერმანული ენა A1.1	5		60	65	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	65	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	65	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	65	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.1	5		60	65	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	65	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	65	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	65	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	10			65				
	ფრანგული ენა A1.1			60	65	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი

	ფრანგული ენა A1.2	5		60	65	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	65	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	65	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.1	5		60	65	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	65	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	65	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	65	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 185 კრედიტი (ECTS)									
მშობლიური ენისა და ლიტერატურის მოდული - 50 კრედიტი (ECTS)									
	ქართული ენის გრამატიკა 1 (დაწყებითი განათლებისათვის)	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან გოჩიტაშვილი ზაქარია ქიტიაშვილი, ქეთევან მირზიკაშვილი ნათია ნაცვლიშვილი
	ქართული ენის გრამატიკა 2 (დაწყებითი განათლებისათვის)	5	30	30	65	ქართული ენის გრამატიკა 1 (დაწყებითი განათლებისათვის)		✓	ქეთევან გოჩიტაშვილი ზაქარია ქიტიაშვილი, ქეთევან მირზიკაშვილი ნათია ნაცვლიშვილი
	ძველი ქართული ლიტერატურა (დაწყებითი განათლებისათვის)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		✓	მაკა ელბაქიძე, ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან ჩიქოვანი.
	ახალი ქართული ლიტერატურა (დაწყებითი განათლებისათვის)	5	30	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ნანა ფრუიძე, ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან ჩიქოვანი.
	უახლესი ქართული ლიტერატურა (დაწყებითი განათლებისათვის)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		ნანა ფრუიძე, ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან ჩიქოვანი.
	ქართული ზეპირსიტყვიერება და საბავშვო ლიტერატურა	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		მიმოზა სოსელია, ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან ჩიქოვანი..
	მეტყველების კულტურა	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		მიმოზა სოსელია, ზაქარია ქიტიაშვილი,

									რუსუდან ჩიქოვანი.
	კითხვის თანამედროვე სტრატეგიები	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან გოჩიტაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი, ქეთევან მირზიკაშვილი.
	ქართულის სწავლების მეთოდიკა	10	45	45	160	ქართული ენის გრამატიკა 2 (დაწყებითი განათლებისთვის), ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა (დაწყებითი განათლებისთვის), პედაგოგიკა 2		✓	მარიამ მეტრეველი, ნინო გორდელაძე, ზაქარია ქიტიაშვილი.
მათემატიკის მოდული - 35 კრედიტი									
	ალგებრა და რიცხვთა თეორია 1	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	ალგებრა და რიცხვთა თეორია 2	5	30	15	80	ალგებრა და რიცხვთა თეორია 1	✓		თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	გეომეტრია 1	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	გეომეტრია 2	5	30	15	80	გეომეტრია 1	✓		თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	მათემატიკური ანალიზი	5	30	15	80	ალგებრა და რიცხვთა თეორია2		✓	თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა 1	5	30	15	80	ალგებრა და რიცხვთა თეორია 2, პედაგოგიკა 2	✓		თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა 2	5	30	15	80	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა 1, გეომეტრია 2, მათემატიკური ანალიზი		✓	თენგიზ კოპალიანი დათო წამალაშვილი
ბუნებისმეტყველების მოდული - 15 კრედიტი									
	ბუნებისმცოდნეობა 1	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		✓	ეფემია ხარაძე, ელენე თავდიშვილი.
	ბუნებისმცოდნეობა 2	5	15	30	80	ბუნებისმცოდნეობა 1	✓		ეფემია ხარაძე, ელენე თავდიშვილი.

	ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა	5	30	30	65	პედაგოგიკა 2		✓	ეფემია ხარაძე, ელენე ჩერქეზია.
განათლების მეცნიერებების მოდული - 55 კრედიტი									
	პედაგოგიკა 1	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან ჭკუასელი. თამაზ კარანაძე. მაია მემარნიშვილი ნათია ბებიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, ეფემია ხარაძე, თიკა დოლიძე.
	პედაგოგიკა 2	5	30	30	65	პედაგოგიკა 1	✓		ქეთევან ჭკუასელი. თამაზ კარანაძე. მაია მემარნიშვილი, ნათია ბებიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, ეფემია ხარაძე, თიკა დოლიძე.
	პედაგოგიური კვლევის საფუძვლები	5	15	45	65	პედაგოგიკა 1/პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები		✓	რუსუდან სანაძე, სოფიო დოლიძე, დავით წამალაშვილი
	ზოგადი ფსიქოლოგია	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		თეონა ლოდია, სოფო დოლიძე, ელენე ოყროშიძე.
	განათლების ფსიქოლოგია	5	30	15	80	ზოგადი ფსიქოლოგია, პედაგოგიკა 1/პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები		✓	თეონა ლოდია, სოფო დოლიძე, ელენე ოყროშიძე.
	ქართული პედაგოგიური აზრის ისტორია	5	30	30	65	პედაგოგიკა 2		✓	თამაზ კარანაძე, ქეთევან ჭკუასელი. თამარ გეგეშიძე, მაია მემარნიშვილი ნათია ბებიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, ეფემია ხარაძე, თიკა დოლიძე.
	საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	5	15	45	65	პედაგოგიკა 2/განათლებისა და სწავლების თეორია	✓		მაია მემარნიშვილი, ნინო ჩახუნაშვილი,

									ქეთევან ჭკუასელი.
	სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა	5	30	15	80	პედაგოგიკა 2	✓		ქეთევან ჭკუასელი, ეფემია ხარაძე.
	მულტიკულტურული განათლება	5	30	15	80	პედაგოგიკა 2		✓	შალვა ტაბატაძე
	ინკლუზიური განათლება	5	30	15	80	პედაგოგიკა 2		✓	თეონა ლოდია, სოფო დოლიძე, ელენე ოყროშიძე.
	თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	5	30	30	65	პედაგოგიკა 2/განათლებისა და სწავლების თეორია		✓	ნინო ჩახუნაშვილი, ქეთევან ჭკუასელი, მაია მემარნიშვილი.
საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მოდული – 30 კრედიტი									
	საქართველოს ისტორია (საფაკულტეტო)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		
	ისტორია და სამოქალაქო განათლება	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		გიორგი ჟუჟუნაშვილი, მიხეილ ბახტაძე ირაკლი ბრაჭული
	საქართველოს გეოგრაფია	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		ლია კვერენჩხილაძე, ეთერ დავითაია, ნანა პაიჭაძე.
	გეოგრაფიის ზოგადი კურსი	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		✓	ლია კვერენჩხილაძე, ეთერ დავითაია, ნანა პაიჭაძე.
	ისტორიის სწავლების მეთოდიკა	5	30	15	80	ისტორია და სამოქალაქო განათლება, პედაგოგიკა 2	✓		გიორგი ჟუჟუნაშვილი, მიხეილ ბახტაძე,
	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა	5	30	15	80	გეოგრაფიის ზოგადი კურსი, პედაგოგიკა 2	✓		ლია კვერენჩხილაძე, ეთერ დავითაია, ნანა პაიჭაძე.
პედაგოგიური პრაქტიკა 20 კრედიტი									
	პედაგოგიური პრაქტიკა 1	5					✓	✓	
	პედაგოგიური პრაქტიკა 2	5					✓	✓	
	პედაგოგიური პრაქტიკა 3	10					✓	✓	
თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)									
სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.									

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი